№ 108 21 ენკენისთვე, ქვირა 1866—1875 21 ენკენისთვე, ქვირა № 108

რედაქცია

ველი მონოვის ქუჩაზე, პორტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

Ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

ГАЗЕТА ВРЕМЯ

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ცოცხალთა, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ბიბლიოთეკა

პირველი სექტემბრიდამ

მიიღება რედაქციაში

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ახალი ხელის-მომწერნი მიიღებენ გაზეთის ყველა ნომრებს ამ წლის 1 სექტემბრიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდი.

ფასი ოთხი თვის ხელის-მომწერლებისათვის სამი მანეთია, ნახევარი წლის გაზეთისა — 4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

სასწავლებელთა ნაკლებობა

—

თითქმის ყოველ წელიწადს ამ დროს მოგვიხდება ჩვენ ხოლმე ლაპარაკი იმაზე, რომ ახლანდელი სასწავლებლების რიცხვი ჩვენი ახალგაზდობის სწავლის სურვილს ვერ აკმაყოფილებს.

ყოველ შემოდგომაზე გვწერენ და სჩივიან, რომ ამა და ამ სასწავლებელში ამდენსა და ამდენს სწავლის მოსურნეს უნდოდა შაგირდათ შესვლაო, მაგრამ, რადგან ვაკანსიები არ იყო, ვერ მიიღესო.

ვინც წინანდელ „დროების“ ნომერში დაბეჭდილი კორრესპონდენცია, ქუთაისიდამ, წაიკითხა, ის ნახავდა — თუ რამდენი სწავლის მსურველი ყმაწვილები დაუბრუნებიათ მარტო ქუთაისის გიმნაზიიდამ და სხვა სასწავლებლებიდამ. ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ამ-თი რიცხვი ორასამდინ იყოვო!

ვინ იცის — რამდენი მომავალი პატიოსანი და კარგი მამულის-შვილი მოაკლდა წელს და აკლდება ხოლმე საზოგადოთ ყოველ წელიწადს ჩვენს ქვეყანას, მხოლოდ იმის გამო, რომ სასწავლებლები არა გვაქვს და სწავლა-განათლება ვერსად მიუღიათ!

ვინ იცის — რამდენი ამათგანი, რომელთაც ამნაირად სწავლის მიღების საშუალება მოსპობილი აქვთ, შემდეგში ტყუილა-მეჯამელ და იქნება მავნებელ წევრადაც შეიქნებიან!

და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ჩვენს სასწავლებლებში ვაკანსიები არ არის.

ეს გარემოება ყურადღებისა და დაფიქრების ღირსია.

რადგანაც ხაზინას ჯერ-ხნობით ვერ მოუხერხებია ჩვენში სასწავლებლების გამრავლება, თითონ საზოგადოება, თითონ ხალხია მოვალე, რომ ამ საგანზე მოიფიქროს.

ვისაც შვილები წელს არ მიუღიათ, ესთქვათ, მარტო ქუთაისის სასწავლებლებში, მარტო ორნი რომ შეკრებილიყვნენ და წელიწადში თითო-ოროლა თუმანი გამოელოთ, ძალიან ადვილათ შეეძლოთ ისეთი სკოლის გამართვა, სადაც იმათი შვილები გიმნაზიაში ვაკანსიის გახსნამდი ისწავლიდნენ და უძულებულნი აღარ იქნებოდნენ, რომ ისევ შინ წაეყვანათ ეს შვილები და დაევიწყებინათ იმათთვის ისიც, რაც ცოტაოდენი იციან.

ამას გარდა, ქალაქი ქუთაისი და თფილისი რომ თავის ხარჯით საქალაქო სასწავლებლებს გამართავდნენ ისე, როგორც, ვსთქვათ, რუსეთის სხვა ქალაქები ჩადიან, ესეც ძალიან დაეხმარებოდა ჩვენი განათლების საქმეს.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული იმედი იმისა გვაქვს, რომ ჩვენში მალე საერო წესდება შემოვა, როდესაც საზოგადოება თვითონ იქნება მოვალე, რომ ხალხის განათლებაზე თვითონვე იზრუნოს. მაშინ, უეჭველია, ჩვენს ქალაქებსა და ეროობას უფრო მომეტებული შეძლება და ღონის-ძიება ექნება, რომ ამ მხრით დაკმაყოფილოს ჩვენი ხალხის მოთხოვნილება და არ მოაკლოს ყმაწვილებს ის წმინდა სურვილი — განათლების მიღება, რომელიც იმათ ასე სწყურიათ, მაგრამ, საუბედუროთ, ვერ დაუკმაყოფილებიათ.

ს. მესხი

დღიური

—

☐ ჩვენ შევიტყეთ, რომ უწმინდესი სინოდი დათანხმებულა იმერეთის ეპისკოპოზის ბაბრიელის აზრზე, რომ ქუთაისში სასულიერო სემინარია გაიხსნას. სინოდი ამ საქმეში არავითარ დაბრკოლებას არ ჰხედავს. მაშასადამე საქმე ახლა მხოლოთ იმაზეა დამოკიდებული, რომ იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებამ ფორმალურად გამოაცხადოს თავის სურვილი სემინარიის გახსნის თაობაზე და იმაზე, რომ ის ჰკისრულობს, რაც ამ სემინარიას ხარჯი დასჭირდება.

რაღა თქმა უნდა, რომ ახლა, როდესაც ასეთს ნაკლებობას გრძნობს იმერეთი სასწავლებლებისა, ამ სემინარიის გახსნას სწორეთ რომ დიდი მნიშვნელობა ექნება...

☐ ჩვენი ქალაქის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თფილისის გამგეობის საზოგადო სხდომები ამ თვის 22-ს დაიწყება და იქნება კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. ჩვენ მოგვვივიდა აგრეთვე სია იმ საგნებისა, რომელზედაც ქალაქის გამგეობამ (დუმამ) უნდა მოიალაპარაკოს, მაგრამ დღეს, მხოლოთ უადგილობის გამო, ამ სიას ვერა ვბეჭდავთ.

☐ ერთს ახირებულ შემთხვევას გვწერენ სამტრედიის სტანციიდამ:

„ერთს ბეგუთელ კაცს მეგრელი ქალი ჰყოლია ცოლად. სამი-ოთხი წელიწადი ერთად უცხოვრიათ ქუთაისს; მაგრამ ამ თვის 9-ს ეს ქალი სადღაც გაქცეულა. ქმარი, იმის მეზობლები და ნათესავები აქეთ ეძენენ, იქით ეძენენ, ვერსად ვერ ნახესო. ბოლოს ერთი კაცისაგან გაიგეს, რომ ეს ქალი ქუთაისის რკინის გზის სტანციასთან უნახავთ. ქმარს ჯერ უფიქრნია, სტანციაზე გავიქცევი და დავაბრუნებო, მაგრამ რადგან გვიან ყოფილა და მაშინას ვეღარ მიუსწრებდა, ორი ფეხ მარდი ბიჭი მოუნახავს, რომელნიც გამოდევნებიან მაშინას და სამტრედიის სტანციაზე მაშინისთვის ჩაუსწრიათ!

„მოსულა თუ არა მაშინა, შესულან ვაგონებში, უნახავთ ქალი და წამოუყვანიათ.“

კორრესპონდენტი მეგრელი სიამაყით ამბობს, რომ „ამისთანა ფეხ მარდი გახლავართ ჩვენო! მაგრამ....

☐ „სასოფლო გაზეთში“ იწერე-

ფელეტონი

ძველებური ამბები

—

ბაქრაძის ქვრივი

მეფე სოლომონ პირველის დროს ცხოვრებდა რაჭაში სოფელს ჯოისუბანს ერთი აზნაურიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც ჰქონდა მამული ეგრეთვე იმერეთშიაც, სოფელს ბილას, სადაც ჰყვანდა რამოდენიმე კომლი ყმა გვარად ბოცაძეები. როცა ხსენებული ბაქრაძე მიიცვალა, დარჩა ერთი ვაჟი-შვილი და ყმაწვილი ცოლი.

ახალგაზდა ქვრივი იყო თვალათ მშვენიერი და ზნეობით პატიოსანი; ის იყო შემკული როგორც გარეგანი მშვენიერებით, ეგრეთვე შინაგანით: სულით, გულით, ხასიათით და ყოველივე ღირსებით.

მეფე სოლომონის I-ს ძმასა და მამას მეფე სოლომონის მე-II-სას — ბატონის-შვილს არჩილს სადღაც თვალი მოეკრა ამ ქვრივისათვის და იმის მშვენიერებით შეპყრობილი იქმნა. დიდ ხანს ეტრფიალებოდა, ვამოუცხადა მას სიყვარული, მაგრამ არა გაუვიდარა. ბოლოს, მოთმინებიდამ გამოსულმა ბატონიშვილმა დაუდვა მას ორი წინადადება: წყალობა და ყურადღება მის ერთს მხოლოდ-შობილ შვილზე ანუ რისხვა და სიკვდილი.

ბევრი ფიქრისა და ტანჯვის შემდეგ, ქალმა არჩია სიკვდილი თავის პატიოსნების დაცვისათვის.

მაშინ არჩილ ბატონიშვილმა ძალით მოინდომა აღსრულება თავის გულის წადილისა: გაგზავნა რამოდენიმე ხლებული კაცი ბილას, ბაქრაძის სახლში, რომელთაც შეატყობინეს მასპინძელს, რომ ამა და ამ ღამეს ბატონიშვილი გამოიელის გზათ და თქვენსა გაათევს ღამესაო.

ქვრივმა იგრძნო თავისი მდგომარეობა და გაიქცა ღამე თავის სახლიდან რაჭას. იმ დროს საშინელი წვიმა და ავდარი ყოფილიყო. ნახა ქალმა, რომ ქვაციხის წყალი ბუჯა ისე გადიდებულიყო, რომ ცხენით კაცი ვერ გავიდოდა.

ამის გამო თავ-გამომეტებული ქვრივი გადახტა ცხენიდამ და შესცურა წყალში. მხლებელებმა ვერ გაბედეს წყალში ჩასვლა და უყურებდნენ წყლის ნაპირიდან მცურავ-ქალს. ამ ბნელაში დაინახეს, რომ მათი ქალ-ბატონი ცურავს და ებრძვის ამ გაგიჟებულ მთის ჩქარ წყალს, რომელსაც ღრიალით და ხუილით მოაქეს ტყე და ლოდები. შესძახოდნენ მდინარის ნაპირიდამ და ამხნევებდნენ თავის ქალბატონს: „არიქა, ქალბატონო, მოუსვი, მოუსვიო! პატარა გაკლია კიდეეაო!“ მაგრამ ღირს-სახსოვარი დედა-კაცი იმ დროს დამღრჩვალი მიჰქონდა პირ-ქვე წყალს: მხოლოთ მის მოსასხამს ტოლომას დაეფირფიტებდა წყალი მაღლა და ღამეში მხლებელების ეს მოსასხამი თავის ქალ-ბატონად მიიღეს...

ამ ნაირად, ეს ქალი თავის პატიოსნებისა და ზნეობის მსხვერპლად შეიქნა...

ეს ბაქრაძის ქვრივი რომ რომის მატრონა ყოფილიყო, უეჭველია, ისტორიაში მოხსენებული იქნება იმის სახელი, მტკიცე ხასიათისა და ზნეობის მაგალითად.

ჩვენში კი ამა ღირს-სახსოვარს და თაყვანის ცემის ღირსს დედაკაცს, არა თუ იცნობენ და მაგალითად მოიხსენებენ, არამედ იმის შვილი-შვილისაგან გამიგონია: „ეს ცხოვნებულმა ბებია ჩვენმა რაზე დაგვიკარგა მამული ბილასო? რა ცუდი კაცი იმას გაუარშიყდა!“

სხვიტორელი

ნო, მოუსვი, მოუსვიო! პატარა გაკლია კიდეეაო!“ მაგრამ ღირს-სახსოვარი დედა-კაცი იმ დროს დამღრჩვალი მიჰქონდა პირ-ქვე წყალს: მხოლოთ მის მოსასხამს ტოლომას დაეფირფიტებდა წყალი მაღლა და ღამეში მხლებელების ეს მოსასხამი თავის ქალ-ბატონად მიიღეს...

ამ ნაირად, ეს ქალი თავის პატიოსნებისა და ზნეობის მსხვერპლად შეიქნა...

ეს ბაქრაძის ქვრივი რომ რომის მატრონა ყოფილიყო, უეჭველია, ისტორიაში მოხსენებული იქნება იმის სახელი, მტკიცე ხასიათისა და ზნეობის მაგალითად.

ჩვენში კი ამა ღირს-სახსოვარს და თაყვანის ცემის ღირსს დედაკაცს, არა თუ იცნობენ და მაგალითად მოიხსენებენ, არამედ იმის შვილი-შვილისაგან გამიგონია: „ეს ცხოვნებულმა ბებია ჩვენმა რაზე დაგვიკარგა მამული ბილასო? რა ცუდი კაცი იმას გაუარშიყდა!“

სხვიტორელი

ბიან, რომ წელს ქიზიყში ხორბალი და ქერი ძალიან დაუზიანებია ავდრებსა და თაგვსა ფეტეი და სიმინდი კი კარგი მოსულა. მთებიდამ და სხვა ალაგებიდამ კი საზოგადოთ კარგ მოსავალს იწერებიანო.

□ სომხური გაზეთი „მშაკი“ გვაცნობებს, რომ ეჩმიაწინის უეზდის სოფ. სამაგარის 30 მცხოვრებელთ გადაუწყვეტიათ, რომ ბრეგორიანის სარწმუნოება მიატოვონ და ლუტრანგისა მიიღონ.

□ ამ ახლო ხანებში მცხეთაში ნამყოფისაგან შევიტყეთ, სვეტიცხოველის ეკკლესიის ფანჯრების ჩარჩოები ისე დაშორებია კედლებსა, რომ მტევრი და წვიმა თავისუფლად შემოდის ეკკლესიაში და ცხადათა ჩანს რა სახით ჩამოსულა მღვრიე წვიმის ნაკადი. მხატვრობაზე მარჯვნივ ისე ცხადათ არა სჩანს, როგორც მარცხენა თეთრათ შეღებილი კედელზე. საჭიროა ყურადღების მიქცევა. მართალია, ფანჯრები მაღლაა, მაგრამ ორი გრძელი ლატნის უბრალო კიბე ასწვდება.

□ ერთს რუსულს გაზეთს გაუგონია შემდეგი ამბავი, რომელიც, თუ მართალი გამოდგა, ჩვენთვისაც ყურადღების ღირსია:

შინაგანი საქმეების სამინისტრო, როგორც ამბობენ, უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობსო, რომ სამუდამოთ მოისპოს ის კანონი, რომლის ძალითაც თავად-აზნაურების კრებაში მხოლოთ იმ თავად-აზნაურებსა აქვთ ხმა, რომელთაც ჩინი აქვთო; ისეთი კანონი გამოვაო, რომ სათავად-აზნაურო საქმეებში ყველა თავად-აზნაურს ექნება ხმაო, თუნდაც უჩინო იყოსო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთიდამ 7 სექტემბერს

ჩხირაულის სოფლის საზოგადოების სამხრეთით სძევს ამაშუკეთის სოფლის საზოგადოება; ამ ორი საზოგადოების სამზღვარზე მოხდა ერთი შესანიშნავი შემთხვევა:

წარსულს კვირიკობის თვეში ერთ დილას აღმოჩნდა სოფელს შ. ორი ისეთი დაჭრილი კაცი, რომლების მორჩენაც აღარაფის ეგონა.

მათ აჩვენეს, ვითომც საღამოზე მოდიოდნენ ყანიდგან სახლში, გზაზე ვიღაც ავაზაკები შემოხვდნენ ცხენებით და დასჩეხეს ისინი ასე უმოწყალოთ. ეს ჩვენება წარდგენილი იყო სოფლის მამასახლისისაგან.

თუმც იმ დღიდგანვე ხალხში საქმე სხვა ნაირათ აიხსნა, მაგრამ არც დაჭრილებს და არც სხვას, ვისაც ეკუთვნოდა, იმისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს აღმოჩნდა, რომ საქმე სრულებით ასე არ ყოფილა.

თურმე დაჭრილები მართლაც საღამოს ყანიდგან სახლისკენ წამოვიდნენ; მაგრამ, სახლში რომ ხელცარიელი არ მისულიყვნენ, მიუხვიეს საქურდლათ მახლობელ წისქვილში, სადაც ეგულებოდათ სიმინდი. იქ დახვდა იმათ ორი კაცი წისქვილის მეპატრონეები.

თუმცა ქურდებიც ვითომც ვაჭაცობაზე დამდგარიყვნენ, მაგრამ ღმერთმა სხვასაც ისე გაამარჯვებიოს იმისთანა ადგილზე და განზრახვაზე, როგორც მათ გაემარჯვნათ წისქვილის პატრონების წინააღმდეგ. ყოველ კაცს უკვირდა, იმისთანა ჭრილობის შემდეგ როგორღა ამოაღწიეს სახლამდის.

დამჭრილები, როგორც ხალხი აცხადებდა, იყვნენ ჩხირაულის საზოგადოების მცხოვრებნი. ბავიდა ერთი თვე, დაჭრილები უკეთ შეიქმნენ და საქმემაც დაიძინა. მინღა კითხულობს? ვისაც ეკუთვნის ნამდვილი საქმის გამჟღავნება, ის ხმას არ იღებს და სხვა ჩვენში რას დასდეს..

ამ დროს, როდესაც საქმე ყველას დავიწყებული ეგონა, უეზდის სასამართლოში მივიდა თურმე ერთი კაცი და განაცხადა:

„ამა და ამ დროს, მე და ერთი სხვა ვიყავით წისქვილში; დავწეოთ რა დასაძინებლად, ორი კაცი შამოვარდა უცებ; ერთმა, როგორც წამოვხტენი, წამიჭირა ყელში ხელი და ჩამიდვა ქვეშ; მიეძახე ჩემს ამხანაგს, რომელიც წამოვარდა, დაავლო ნაჯახს (ცულს) ხელი და დაუშინა მას ზურგზე, კარგათაც დასჩეხა, მგონი იმ დროს ერთი ნაჯახის პირი მეორესაც არგო, რომელმაც ამხანაგის მოხმარება დააპირა და წავიდნენ ძლივს ცოცხალნი. ეს გარემოება მე მაშინვე განუცხადე ჩემს მამასახლისს, რომელმაც გამაჩუმა მაშინ და შემაშინა ამით:

„თუ სთქვი და გამოცხადდა ეს საქმე, ორივე დაგიღუპებითო.“ მეც შემეშინდა და გაეჩუმდი, მაგრამ ახლა, როგორც შევიტყვე, ეს საქმე იმალება და უმჯობესად შეერაცხე გამოცხადება.“

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც ეს კაცი განაცხადებდა, რომ მისს მამასახლისს, თუ მწერალს, როგორც ამბობენ, არ ეთხოვა მისთვის რაღაც ჯიბის მოყვარე, ურომლისოთაც დასაკარგავათ წარდგენას ემუქრებოდნენ. საწყალს, რადგანაც სიღარიბისა გამო მოთხოვნილება ვერ შეესრულებია, ვიღაცას რჩევას დადგომოდა.

რადგანაც ამ საქმემ უეზდის უმფროსის ცნობამდე მიაწია, რასაკვირველია, ფიცხელი გამოძიება შეადგინა ამ გარემოების დაფარვისათვის და მამასახლისებს პასუხის-გება მოსთხოვა.

ხალხი დიდათ მოხარული დარჩა ამ საქმის გამოცხადებისთვისა, ეგებ რამე ეშველოსთ და გამოჩენილი ამ ნაირათ ქურდები, მაინც აღარ დაიფარონ ხოლმე, სოფლის მოხელეების წყალობითო.

ყ. ჩხეიძე

რუსეთი

✠ ახლანდელი კანონის ძალით, რუსეთის ურიებს რუსეთის ყველა ქალაქებში და სოფლებში ცხოვრების უფლება არა აქვთ. აჰბობენ, რომ შინაგანი საქმეების სამინისტროს განკარგულებით, ეს შემავიწროებელი კანონი მალე მოისპობაო; მაგრამ ყველა ურიებისთვის კი არაო: ჯერ-ჯერობით ყველგან დასახლების უფლება მხოლოდ იმ ურიერს მიეცემათ, ვისაც რომელსამე რუსულ სასწავლებელში სწავლა შეუსრულებიათო.

✠ ბევრი უწესობა და საძაგლობა მომხდარა მარშანსკი რომ იწვოდა, იმ დროს. ბამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ დროს მცხოვრებლები თავის თავისა და თავის ცოლ-შვილის დახსნას მოუნდნენ და თავიანთი ქონება კი მიატოვეს. პოლიციას უნდა დაეჭირა თვალ-ყური, რომ არაფერი დაკარგულიყო, მაგრამ ესეც დიდ ფაცა-ფუცში იყო ცეცხლის გამო. ამ დროს ავაზაკები და ქურდები გაჩენილან და ბევრი რამ მოუტაცნიათ.

✠ ზღვის სამინისტროს განზრახვა აქვს თურმე, რომ კასპიის ზღვის ყველა ცეცხლის გემებზე, ქვანახშირის მაგივრად, ნავთის ხმარება შემოიღოს.

✠ მოსკოვისა და პეტერბურღის გუბერნიაში ამ სექტემბრის დამდეგს ისეთი ბუქი და ქარიშხალი ყოფილა, რომ რამდენსამე ალაგას ტელეგრაფის სვეტები მოუგლეჯია და ამის გამო პეტერბურღსა და მოსკოეს შუა ერთი დღე ტელეგრაფი არ მუშაობდაო. 7 სექტემბერს პეტერბურღში კარგა დიდი თოვლი მოსულა.

უცხო ქვეყნები

ზერცოგოვინის არეულობა.

ძალიან ცოტა ახალი ამბები მოდის ამ უკანასკნელ დროს ბრძოლის ველიდამ ასე, რომ გადაწყვეტით არ შეიძლება სთქვას კაცმა—ვინ იმარჯვებს და ვინ მარცხდება. ეს კი ცხადია, რომ თუმცა ოსმალოს მთავრობა მთელს ქვეყანას არწმუნებს, რომ ზერცოგოვინის აჯანყებულება დამშვიდებული არისო, მაგრამ მუდამ ახალ-ახალ ჯარს აგზავნის იმათ დასამორჩილებელად.

გაზეთებში სწერენ, რომ ოსმალოს მთავრობა ძალიან ენერგიულად შეუდგა ამ საქმესო და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობსო, რომ რაც შეიძლება მალე დააწყნაროს არეულობაო. ამ საქმეში, როგორც ერთი სტამბოლის გაზეთი გვაცნობებს, ხონთქარი რუსის ელჩის ღენერალის იგნატიევის რჩევას მისდევსო; იმან ურჩიაო, რომ ახლანდელი სარდალი ბერცოგოვინაში მყოფი ოსმალოს ჯარისა გამოეცვალა და იმის მაგივრად უფრო ენერგიული მხედარი ჰუსეინ-აენი-ფაშა გაეგზავნა ბერცოგოვინაში და ამასთანავე ახლანდელი სამხედრო მინისტრიც გადაეყენებიაო,—ხონთქარმა ეს რჩევა დაუჯერა ღენერალ იგნატიევსაო და ახლა კოსტანტინოპოლში იმედი აქვთო, რომ ამ აჯანყებას მალე მოუღებენ ბოლოსაო.

სერბია. ბელგრატიდამ იწერებიან: „სკუპჩინაში ბევრი დეპუტატები თხოულობენ, რომ სკუპსჩინის სხდომები შეუწყვეტელი იყოსო, სანამ ეს მდგომარეობა არ გათავდებაო. ოსმალოს და სერბიას შუა ყველა გზები შეკრულიაო; არავის აღარ უშვებენ სამზღვარ გარეთაო.“

ესპანია. მმართებლობის ჯარებს რამდენსამე ალაგას დაუმარცხებიათ კარლისტები. ამას წინათ ერთი დონ-კარლოსის დამარცხებელი ღენერალი 3,000 კაცით გადასულა საფრანგეთის სამზღვარზე და იქვე თოფ-იარაღი დაუყრეევნებიათ. ბევრი კარლისტები მიდიან თურმე მმართებლობის ჯართან, თოფ-იარაღს ჰყრიან და ემორჩილებიან დონ-ალფონსს.

ქრონიკა

41

ქართველების სარწმუნოება და ცვლილება, რომელიც იმაში მოახდინა ფარნავაზმა

—

ამ მოგვების უფროსი იწოდებოდა მობედი—მობიდან, ესე იგი მოგვთა მოგვი, როგორც მაგ. მეფეები იწოდებოდნენ მეფეთ-მეფედ. ესენი იდგნენ მცხეთაში იმ ადგილას, რომელიც იწოდება „მოგვთა“ ზემო ქართლს—მახვში, სომხეთში—ქციაზე, და თმოგვში, რომელიც სამცხეშია. ამათ შორის იმ მოგვებს, რომლების თანამდებობაც ის იყო რომ ცეცხლი არ გაექროთ, ათაშგადა ერქოთ, ამბობს უფ. ბაქრაძე. ათაშ—ცეცხლია, გადა ნიშნავს მოსამსახურეს, და სიტყვები ორივე თათრულია.

ამ სარწმუნოებას ეძახიან საბიზმ', რომელიც ნიშნავს მზისა, მთვარისა და ვარსკვლავთათვის თაყვანის ცემას. ამის წარმომადგენელი დოლმატი იყო ღმერთი არმაზი და ამირანი, რომლებსაც სპარსელები ეძახდნენ „აგურომაზდა“ და „ანგრამაინიუს.“

ამ სარწმუნოების სწავლა იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანაზე რაც რამ არის დაბადებული, ყველაფერი არმაზის ერთის სიტყვით არის შექმნილიო. იმას უყვარს თავისი თავი და არაოდეს არ იღლება კეთილის ქმნას იმისთვის, რაც წმინდაა. ამირანიც ჯერ წმინდა იყო, მაგრამ არმაზისადმი სიშურისაგამო შეიქმნა წყაროდ ყოვლისა ბოროტებისა, უწმინდურებისა და სიკვდილის. ამირანის ბუნება არის სიბნელე, არმაზის სხეული კი მთლად სინათლეა. ბამოუკვლეველმა უზენაესმა არსებამ იმას მისცა საუკუნო არსებობა; მაგრამ ის მუდამ ბოროტი არ იქმნება: კედართა აღდგომის შემდეგ იმას არმაზი ჩაგდებს ცეცხლისაგან გადამდნარ რკინის მდინარის სახმილში და ის იქ განიწმინდება და ისევ შეიქმნება კეთილად. ეს ბრძოლა არმაზსა და იმის შუა განგრძელდება თორმეტ ათას წელიწადს და ამ დროს

ის მუდამ ქვეყანაზე, არმაზის ჯაბრზე, ბოროტების თესვას არ მოიშლის.

სინათლისა და კეთილის ღმერთს არმაზს და სიბნელისა, სიავისა და სიკედილის ღმერთს ამირანს გარს ახვევიან მრავალნი არსებანი, რომელთაგანაც ღმერთებთან დაახლოებულნი უფრო ძლიერნი არიან. შვიდი ამშასპანდი არმაზსა ჰყავს, შვიდი დევი ამირანს. კეთილის მეუფესაც და ბოროტისასაც აქვთ თავისი სასულიერო სუფევა და ქვეყნიური სამეფო. ყოველს კეთილს სულს თავისი მცველი ჰყავს. ქვეყანაზე სიკედილი პირველ კაცის ცოდვამ დაჰბადა. როცა არმაზი დაამარცხებს ამირანს, მაშინ მკვდრების ცოდვილებაც და კეთილნიც აღსდგებიან, რომელნიც იმ დრომდე ცალკ-ცალკე იქმნებიან, და ცოდვილნი განიწმინდებიან ცეცხლის სახმილეში გადამდნარ რკინეულობისაგან. მაშინ მთელი ქვეყანა განახლდება და ყოველი კეთილი ნეტარებაში იქნება.

მიზანი სარწმუნოებისა ის არის, რომ განანათლოს არსება, ძლევა შეიმოსოს კეთილმა, ჭეშმარიტებამ და სიცოცხლემ, ბოროტება გაუქმდეს. ეს სარწმუნოება ქართველებისა წარმოგვიდგენს ბრწყინვალეს და დიდად მშვენიერს პოეზიას: ყოველგან ჰხედავთ მშვენიერს წმინდა სურათს და კეთილშობილურს უმაღლესობას. მრავალნი წესნი, რომელნიც შეეხებიან დღიურს ცხოვრებას, მშვენიერად შეესაბამებიან ამ გვარს ღვთის მეცნაობას. ყოველთვის და ყოველგან ქართველს კეთილისა და ჭეშმარიტებისათვის უნდა ემოქმედნა და მეცადინეობა გაეწია; იმას გულ-გრილად არ უნდა ეცქირა ბოროტ-მოქმედებისათვის; ის უნდა მოჰშორებოდა შფოთიანს და გარყვნილს ცხოვრებას, და ყოფილიყო კეთილი, როგორც თავის მოქმედებაში, აგრეთვე განზრახვაშიაცა.

ვინც აღვიარებდა ამ სარწმუნოებას, ის მორჩილი უნდა ყოფილიყო თავისი მთავრობისა, მაგრამ ეს მორჩილება არ უნდა ყოფილიყო მონური და არც მეფე უნდა მოქცეულიყო სასტიკად და ხალხის დაუკითხავად. არმაზი ამბობს, რომ დედამიწა საწყლისა, დავრდომილისა, ობლისა და ქვრივის დაჩაგვრას ვერაოდეს ვერ მოითმენსო: ქვეყანაზე უსამართლობა, სასტიკობა, შეუწყალებლობა, ტანჯვა და დაწიოკება ხალხისა არ უნდა იყოსო.

მთელს აზიაში ეს პირველი სარწმუნოება იყო, რომელიც მრავალ-ღმერთობას უარსა ჰყოფდა და კაცს უფლებას აძლევდა, რომ იმას ერთად-ერთი ღმერთი ჰყოლოდა. ამისათვის ქართველობაში ერთ-ღმერთობა იყო; მაგრამ უშვილო დედაკაცის ქმარს ქართველების სარწმუნოებანებას აძლევდა, თავის ცოლის თანხმობით, ეთხოვნა მეორე ცოლიც, რადგან შვილის არ ყოლა ქართველს კაცს დიდ უბედურებად მიაჩნდა, როგორც საქაოს, აგრეთვე საიქიოსაც. ეს წუხილი შვილის არ-ყოლაზე ახლაც არის ქართველ ხალხში.

ინგილო ჯანაშვილი

საგაასო

უფ. ი. ჯანაშვილის ქახის კორრესპონდენციაზე

—

„დროების“ № 95 მე წავიკითხე ქახის სასოფლო სასწავლებელზედ უფ. ინგილო ჯანაშვილის სტატია, რომელშიაც, სხვა თა შორის, უ. ჯანაშვილი ამტკიცებს, რომ ადრინდელი მასწავლებელის უვარგისობისა გამო, ქახის შკოლიდამ ჯერ ერთი ყმაწვილიც არ გამოსულა, რომ ან ქართული და ან რუსული წერა-კითხვა შეეძლოსო.

ამ სამწუხარო გარემოებას უ. ჯანაშვილი ახსნის მითი, რომ, ვითომც, ადრინდელი მასწავლებელნი უფრო ხშირად ქვეფებში ბეგებთანა, საჩიერებში, ქიშპობაში და ქვეფისათვის ხალხში მათხოვარობაში ატარებდნენ თავიანთ სიცოცხლესაო და შკოლის საქმე—კი ფეხებზედ ეკიდათო; კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელმა საზოგადოებამ ფული დახარჯა ინგილოების განათლებისათვისო, მაგრამ მათგანმა არცერთმა წერა-კითხვაც არ იციანო; გასაკვირველი არ არისო განა, რომ ამის შემდეგ კიდევ ქახელები შვილებს აძლევენ შკოლაშიაო?

დაგერწმუნებით, რომ ჭეშმარიტად გასაკვირველია, რასაც თქვენა ჰსწერთ, თუ მართლა საქმე ამნაირად ყოფილა; მაგრამ ამ თქვენ სიტყვებში არა ვითარიმ ჭეშმარიტება არ არის; ეს არის მხოლოდ ცილის-წამება და ცრუ-მეტყველება, რომელიც თქვენ არ შეგეფერებათ.... ამ თქვენ ნაჯლაბს მე სრულიად ყურადღებას არ მივაქცევდი, რადგანაც ვიცი, რა იყო თქვენი განმაღვიძებელი მიზეზი, როდესაც ქახის სასწავლებელზედ ჰსჯიდით, მაგრამ ვიცი, ზოგიერთა ადვილ მორწმუნე მკითხველი, რომელმაც არც ქახის სასწავლებელი და არც მისი ალიან-ჩალიანი იცის, დაერწმუნება თქვენს სიტყვებზედ და ჭეშმარიტებად მიიღებს თქვენს ნათქვამსა.

ამისთვის მე მსურს ფაქტიკურად დაგიმტკიცოთ თქვენი ცილის-წამება.

აბა ერთი მოიგონე, უფ. ჯანაშვილო, ვიდრე ყორაღაზში იყავით, რამდენჯერ შემოსულხართ ჩემთან კლასში, როდესაც მე ყმაწვილებს გაკვეთილს ვაძლევდი? როგორ გახსოვთ, ყმაწვილებმა იცოდნენ წერა-კითხვა და სხვა რაიმე კიდევ, თუ არა? თუ მოსწავლეებმა არა იცოდნენ რა, სასწავლებლის საქმე ცუდათ მიდიოდა და მასწავლებელი კარგი არ იყო, რატომ მაშინვე არ გამოაცხადეთ, ვისთანაც საჭირო იყო? ხომ იცოდით, რომ ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება ინგილოების განათლებისათვის ფულებს ხარჯავდა? სხვა არა იყოს რა, თქვენი სამი, თუ ოთხი ბიძაშვილი მაინც არ გებრალებოდათ? ბანა არ იცოდით გლეხის ყმაწვილს რა მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ნაწილში, ნამეტნავად ინგილოებში? მაგრამ განა, რომ ცუდათ შესანიშნავი სასწავლებელში თავისი მასწავლებლითურთ არა იყო რა?

სამი წელიწადი ჩვენ თითქმის ერთათ ვაყავით: თქვენ ჯერ ყორაღაზში, შემდეგ თქვენ ზაქათალის ოლქის სასწავლებელში სჯულის-მასწავლებლად იყავით და მე ქახში. იმ სასწავლებელში მივალებინე სამი ჩემი მოსწავლე, რომელთაც ჩემთან ორი წელიწადი ე'წავლად; გახსოვსთ, რომელ კლასში მიიღეს? როგორები იყვნენ? იცოდნენ წერა-კითხვა, თუ არა?

როგორც ხედავთ ახლო მეზობლები ვიყავით ერთმანეთისა. ამ სამი წლის განმავალობაში, რა დაგემართად, რომ ერთხელ ან თქვენ ვერა ნახეთ ქახის სასწავლებელის და მასწავლებელის უვარგისობა, და ან სხვისგან მაინც ვერა გაიგონეთ-რა? ბანა მისთვის, რომ ქახის შკოლის მასწავლებელი პატიოსნურად ასრულებდა თავის თანამდებობასა და მოვალეობას, და ივნაირად მიჰყავდა სასწავლებლის საქმე, როგორც ახალი მეთოდის კანონები და სასწავლებლის მთავრობა მოითხოვდა.? თუ ამაზე მე არ დამერწმუნებით, წაიკითხეთ „კავკასში“ ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების 1870 წლის ანგარიში, რომელშიაც ქახის შკოლაზე ეი როგორ არის მოხსენებული: „Школа въ Кахахъ найдена ревизоромъ Кондратенко въ отличномъ состояніи.“ ამნაირად და ამავე სიტყვებით, მოიხსენებენ ამავე საზოგადოების 1871 წ. ანგარიშშიც ეე. ლიხაჩოვი და 1872 წ. უფ. ქუეშინსკი.

მე მივედი ქახში მასწავლებლად 1869 წელში და 1873 წელში გამოვეთხოვე ქახსა. შემდეგ ჩემი ქახიდგან წამოსვლისა, ეი რას ამბობს ზემოხსენებული საზოგადოების 1873 წ. ანგარიში: „Выходъ учителя Т—ва, который до послѣдняго времени прекрасно велъ школу, по всѣму вѣроятію, не можетъ остаться безъ вреда для Кахской школы.“ აბა ერთი ცოტა ხანს დაფიქრდით, ჩემი გამოსვლა ქახის სასწავლებიდგან რათ უნდა ყოფილიყო მაინებელი სასწავლებლისათვის მაშინ, როდესაც მე თქვენის ბრძანებით, ჩემ სიცოცხლეს ქვეფებში, საჩიერებში, ქიშპობაში და მათხოვრობაში ვატარებდი და შკოლის საქმე კი ფეხებზედ მეკიდა? როგორ ფიქრობთ, უ. ჯანაშვილო, მე რომ შკოლისათვის თავი დამენებინა და ქვეფებში მეტარებინა ჩემი დროება, ის პირნი, რომელთაც მე ეუჩიოდი, თავიანთის მხრით განა მეც მიჩიელებდნენ თუ არა? იქმნება გახსოვდეთ: ვის და რამდენჯერ უჩიელიათ ჩემზე? ხომ კარგათ იცით, იქაური ხალხი როგორი მამაცია ყოველ გვარ საჩივარზე. მართალია, ოთხის წლის განმავალობაში, ორჯერ თუ სამჯერ წასულა ჩემი საჩივარი იქაურს ოლქის მთავრობასთან; მაგრამ იცით, უფ. ჯანაშვილო, ვისზე და რა მიზეზისა გამო? მე ეუჩიოდი იქაურ ნაიბს და მამასახლისს, რომლებიც სოფელს რცენიდნენ, და შკოლა კი იმათ, მართალია, ფეხებზე ეკიდათ;—არ აძლევდნენ მას იმ შემწეობასა, რომელიც იმათ მოეთხოვებოდათ. იქმნება იცოდეთ, ვისი მოვალეობა იყო თქმა ხალხისათვის, რომ შკოლისათვის შეშა მოეტანათ. ზამთარში შკოლას შეშა არ ჰქონდა, ყმაწვილები, ღარიბად ჩაცმულები, სიცივით კანკალებდნენ კლასში; ნაიბი და მამასახლისი ამ საგანზე ჩემ თხოვნას ყურადღებას არ აძლევდნენ და მე ამ გვარ გარემოებას ეაცნობებდი ოლქის მთავრობას და ესთხოვდი მას თავის განკარგულებას, — ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ეასრულებდი, რადგანაც სასწავლებლის ყოველივე თანამდებობა ჩემზედ იყო დამოკიდებული.

თქვენა ბრძანებთ, ვითომც მე ხალხში ემათხოვრობდი; ქართული ანდაზა არის: „უვაეს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო!“ ანუ „ჩაცმული ტიტველს პერანგს ხდიდაო!“ აბა იქამდისინ როგორ დაეიმდაბლებდი თავსა, რომ ტყაპუჭიან ინგილოისათვის რაიმე მეთხოვნა მაშინ, როდესაც ის მე მიყურებდა ხელში. მაშინაც ღმერთს თაყვანსა ესცემდი, როდესაც ზოგჯერ ორ ფარად ეშოულობდი რასმე.

რაც შეეხება ბეგებთან ქვეფებსა, მართალია, დავდიოდი ამათთან სანადიროდ და სხვა ამ გვარ დროს გატარებისათვის, მხოლოდ მაშინ, როდესაც სასწავლებლის საქმე არ აღსრულდებოდა და მე თავისუფალი დრო მქონდა. არც ჩემ ქახში ყოფნის დროს, და ეგონებ, არც შემდეგ, ქახის შკოლის მოსწავლეებს სწავლა არ შეუსრულებიათ,—ჯერ არ არის სწორეთ დანიშნული დაბოლოებითი ვადა, რომლის განმავალობაშიაც სასოფლო სასწავლებლის მოსწავლემ სწავლა უნდა შეასრულოს. ის ყმაწვილები რომელთაც, თქვენი სიტყვით სწავლა შეუსრულებიათ, არ არიან სწავლა შესრულებულნი: ზოგს იმათგანს უსწავლიათ შკოლაში სამი-ოთხი თვე, ზოგს ერთი წელიწადი, ზოგს კიდევ წელიწად-ნახევარი და შემდეგ, სხვა და სხვა შინაურულის მიზეზების გამო, სწავლისათვის თავი დაუნებებიათ. ბნებამთ ჩამოგითვალოთ სახელდობრივ, ვინ არიან ეს ყმაწვილები? მაგრამ რა საჭიროა, განა თქვენ თვითონ არ იცით, ვინც არიან. იქმნება ის კი არ იცოდეთ, რა მიზეზისა გამო გამოვიდნენ ისინი შკოლიდან, ეი რა მიზეზისა გამო: ამათგან ზოგი ცოლ-შვილობას მოეკიდა *). ზოგი კი ისევ მარტო-ხელ შამებს ხვნა-თესვაში მიეშველნენ, რადგანაც უიმათოდ მამები საქმეებს ვერ ასდიოდნენ. ერთი მათგანი ოლქის მთავრობამ ჩემის თხოვნით, ყვავილის ამცრელად გაამწესა.

მაგრამ მაინც არც იმაში ხართ

*) ინგილოებში ისეთი ჩვეულება არის, რომ ჯერ ისევ აკვანში მყოფ ვაჟებისათვის ხუთი-ექვსი წლის პატარა ქალებს დანიშნავენ დედ-მამა, და ვაჟს 15 წელიწადი შეუსრულდება თუ არა, მაშინ ჯვარს სწერენ თავის დანიშნულზედ.

მართალი, უ. ჯანაშვილო, რომ ამათ წერა-კითხვა არ იციან: ახალი მეთოდით წერა-კითხვას ყმაწვილები ორ თვეზედ და კიდევ უფრო ადრე სწავლობენ.

დასასრულ აი რას მოგახსენებთ, უ. ჯანაშვილო:

მე მაქვს რამდენიმე წერილები ჩემი მოსწავლეებისა, ქახიდგან მოწერილნი ერთის თვის შემდეგ ჩემი იქიდგან წამოსელისა და ეხლაც მოდიან იმათგან წერილები. თუ თქვენთვის სასიამოვნო იქმნება, მე შემიძლიან ეს წერილები თქვენ გამოგიგზავნოთ; ამ წერილებიდგან შეგიძლიანთ ჰსცნათ, როგორც იციან და იცოდნენ ჩემმა შეგირდებმა ქართული და რუსული წერა-კითხვა.

ადრინდელი ქახის შკოლის მასწავლებელი.

ჟ. ნახიჩევანი, 15 სექტემბერს.

წესდება

თფილისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

ბ. საზოგადო კრება

99) საზოგადო კრებანი ამხანაგობის წევრებისა არიან:

ა) ჩვეულებრივნი, რომელსაც გამგებლობა მოიწვევს (მუხ. 82 პ, ი) ყოველ წელიწადს არა უგვიანეს თებერვლის თვისა; და

ბ) საგანგებო, რომელსაც მოიწვევს რჩევა (მუხ. 90 პ. ე), ანუ მოწვეულ იქნება ამხანაგობის წევრების მეათედი ნაწილის მოთხოვნით.

100) ამხანაგობის ყოველს წევრს საზოგადო კრებაში მხოლოდ ერთი ხმა აქვს, რომელიც არავის არ გარდაეცემა. ამხანაგობანი და არტელნი, რომელნიც მიღებულ არიან ამხანაგობაში წევრებათ (მუხ. 2 პ. ბ) გამოგზავნიან საზოგადო კრებაში ერთს თავის წარმომადგენელს.

101) ამხანაგობის წევრებს ერთი კვირის წინათ შეიტყობენ: რა დღეს, რა ადგილას და რა საგანზე მოხდება საზოგადო კრება.

102) საზოგადო კრება ყოფილად ჩაითვლება, თუ იქ იმყოფებოდა არა ნაკლებ ერთი მეხუთედი რიცხვი მთელის ამხანაგობის წევრებისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საზოგადო კრება მოწვეულია განსახილველათ იმ საგნებისა, რომელიც მოხსენებულია 107 მუხლში პუნ. კ, ლ, მ, და ნ.—ამ შემთხვევაში მოითხოვება დასწრება არა ნაკლებ ორი მესამედის რიცხვისა მთელის ამხანაგობის წევრებისა.

103) თუ საზოგადო კრებისათვის დანიშნულს დღეს არ შეიკრიფება, ნაჩვენები 102 მუხლში რიცხვი წევრებისა, მაშინ ინიშნება, არა უგვიანეს ერთის თვისა, მეორე საზოგადო კრება და ეს მეორე კრება ყოფილად ჩაითვლება, რაც უნდა რიცხვი წევრებისა მოსულ იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საზოგადო კრება მოწვეულია განსახილველად იმ საგნებისა, რომელნიც მოხსენებულ არიან 107 მუხ. პუნ. კ. ლ. მ. და ნ. ამ საგნებზედ სჯა და გადაწყვეტილებანი მეორე კრებაში უნდა მოხდეს უთუოთ თანადასწრებით ყველა წევრების ნახევარის რიცხვისა. მეორე კრება შეეხება მხოლოდ განხილვას და გადაწყვეტას იმ კითხვებისას, რომელნიც შეტანილნი იყვნენ პირველს არ ყოფილს კრებაში.

104) საზოგადო კრების უმცირესი ნაწილი და არა დამსწრე წევრები ამხანაგობისა, უარის უთქმელათ უნდა ემორჩილებოდნენ წესიერათ დადგინებულ გადაწყვეტილებას კრების მომატებულის ნაწილისას.

105) თავმჯდომარე რჩევისა ანუ იმისი მოადგილე თავმჯდომარეობს საზოგადო კრებაშიც და ყურადღებას ადევნებს, რათა საქმე წესიერათ სწარმოებს.

106) საზოგადო კრების დადგინებულებანი ჩაიწერება საკუთარ წიგნში ხელმოწერით თავსმჯდომარისა, რჩევის და გამგებელობის დამსწრე წევრებისა. და ამხანაგობის იმ წევრებისა, რომელთაც წერა იციან.

107) საზოგადო კრების განხილვას და განჩინებას ეკუთვნის:

ა) მიღება ამხანაგობაში წევრებისა (მუხ. 2. პ. ა და ბ).

ბ) ბარდაწყვეტა, თუ რა ვადით უნდა მიიღებოდეს სასარგებლოდ შემოსატანი ფული (მუხ. 28 პუნ. ა და ბ);

გ) დანიშვნა სარგებლის ზომისა სასარგებლოდ შემოტანილ ფულისათვის (მუხ. 30) და გასესხებულის ფულისათვის (მუხ. 55).

დ) დანიშვნა სესხის გაცემის და თავდებობის ზომისა, რომელზედაც მომატებული არ შეიძლება საფუძველისამებრ განსაზღვრულისა მუხ. 41, 44 და 49.

ე) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობის გამგებლობის ანგარიშებისა (მუხ. 116);

ვ) დადგინებულებანი საჩივრებზედ, რომელიც რჩევაზედ არის შემოტანილები (მუხ. 98);

ზ) ნება-დართვა გამგებლობისადმი, რომ გასესხებულ ფულზე ახალი ვადა მიეცემოდეს (მუხ. 52).

Თ) ამორჩევა გამგებლობის და რჩევის წევრებისა (მუხ. 76 და 87) და დანიშვნა მათთვის ჯამაგირისა (მუხ. 81 და 90);

თ) დათხოვნა გამგებლობის წევრობისა იმ შემთხვევაში, რომელიც ნაჩვენებია 80 მუხლში;

ი) ნება-დართვა—თუ რაოდენი შეუძლიან გამგებლობას მოახმაროს ხარჯათ, დაქირაველებისათვის პირველი ამხანაგობის საქმეებისათვის სამუშაოდ და საზოგადოთ ამხანაგობის საქმეების მმართველობისათვის (მუხ. 82 პ. ლ).

კ) ნების-დართვა ვალის აღებისა და დამტკიცება ამ საგანზედ პირობებისა (მუხ. 38);

ლ) ბადიდება წილადის ფულის ზომისა მუხ. 14 და 16 ამის ნაწილ-ნაწილად შემოსატანის ფულისა მუხ. 15 და 16 და სესხად მისაცემის ფულისა მუხ. 49 და 50).

მ. ბანხილვა წინაღადებაებისა, შესახებ ამ წესდების შეცვლისა ანუ დამატებისა 8; და

ნ) მოსპობა ამხ.ნაგობის მოქმედებისა (მუხ. 121).

108) ბადაწყვეტა იმ კითხვებისა, რომელნიც მოხსენებულია 107 მუხლში პუნქ. ა, ბ და გ, საზოგადო კრებას შეუძლია მიანდოს რჩევას (მუხ. 91. პ. ე); მაგრამ ამაზედ უეჭველად უნდა იყოს საკუთარი დადგინებულება საზოგადო კრებისა, თუ რჩევას სახელდობრ რომელ კითხვაზედ აძლევს თავის კუთვნილ უფლებას.

109) ბარდაწყვეტისათვის იმ კითხვებისა, რომელიც მოხსენებულ ებია 107 მუხლში პუნქ. კ, ლ, მ და ნ, მოითხოვება უთუოთ ორ მესამედის დამსწრე წევრების ხმის უმეტესობა; დანაშთენი კითხვები გადასწყდება, ისე როგორც დამსწრე წევრების მეტი ნაწილი იტყვის.

(ბაგრძელება)

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ.

ᲞᲐᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ექიმი ტელიაჩესი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალეიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობ. სათვის.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ფერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ბრაბოვსკი—ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჩუსი—ქალების და ყმაწვილების ავათმყოფ. და ფერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ: ლისიცევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ფერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ისყიდება **ᲣᲚᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ** ქართული **ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ** თფილისში ეპიფანე ქალანდაძის და ამხან. წიგნის მაღაზიაში, ძუკიის ხიდზე, მირზოევის სახლში, აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ. (6—5)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

თფილისში ექვთიმე ხელ-ძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყმაწვილო კრება

ირველ - დაწყებითი მოთხრობებისა

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲛ

შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისაგან

ბამოცემული სტ. ზარაფოვისაგან

ᲤᲐᲡᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

დაიბეჭდა და ისყიდება

თამარ საქართველოს

ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ

ისტორიული რომანი

ბ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

რკ. გზა.	ᲓᲘᲚᲐ.		ᲡᲐᲚᲐᲛ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ᲣᲕირილა .	—	—			5	81	3	23
ᲭᲣთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ᲐᲮ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ. . .	11	44			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . .	8	40						
ᲐᲮ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ᲭᲣთაისი .	11	51			3	4	1	69
ᲣᲕირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:

ᲚᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ—ორშაბ.დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ᲤᲝᲗᲡ—სამშაბათს, ღამით.

ᲚᲓᲔᲡᲐᲡ—კვირას, გათენებისას.

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ᲭᲘᲠᲩᲐᲛდი. .	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝᲒ.	34	„	27	„	8	60
ᲚᲓᲔᲡᲡᲐᲛდი.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲚᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:	მ.	კაპ
ᲭᲣთაისს, ᲤᲝᲗᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲮᲡ		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ ᲚᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲚᲘᲕᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ᲭᲣთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ᲚᲖᲣრგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ᲥᲐᲮეთს — სამშ. და შაბ.

ბ) Ჭ Უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ᲚᲖᲣრგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბ ო რ ი დ ა მ.

ᲣᲚᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) ᲤᲝ თ ი დ ა მ:

ᲣᲚᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ᲦᲘᲐ წიგნის	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲟᲐ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 სექტემბ.

ერთი მანეთი ღირს:

	მან.	კაპ
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ $33^1/_8$ პენსი.	—	84
ᲞᲐᲠᲘᲟᲨᲘ $339^1/_2$ სანტიმი.	—	89
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (სარგებლისფასი)	6	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	99	75
მოგებიანი (პირველისესხი)	231	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	226	50
ᲑᲘᲠᲘᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
თფილ. საᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ.	93	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ($5^1/_2$)	87	25
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . . .	86	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲚᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	195	—
ᲤᲝᲗᲘ-თფილ.რკინ.გზის	139	50
ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲕᲔᲛᲔᲑᲘᲡ	560	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	168	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝᲒ.	665	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	263	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	257	65

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 21 სექტემ.		
ᲞᲣᲠᲘ ᲨᲝᲠᲐᲒᲐᲚᲘᲡ ფთ.	1	5
ᲭᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	—	60
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	5	20
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	—	—
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ფთ.	8	—
ᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲗ .	7	80
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲜᲘᲡᲐ ᲤᲗ. .	4	50
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲒᲠ.	2	60
ᲭᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	4	—
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	5	60
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, Ფ.	10	20
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	45
—ᲪᲮᲔᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	54
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ. . .	6	60
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	8	15
— ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	80
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	18	50
ᲖᲔᲗᲘ ᲭᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ფთ.	6	—
ᲚᲭᲝ $^1/_2$ იმპერიალი. .	5	88

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1875 г. Типографія Меликова и К°. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.